შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

2016 წლის 18 ოქტომბერს გაფორმებულ
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №170 ხელშეკრულებაში
ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. გორი 29 ნოემბერი, 2016 წელი

ერთის მხრივ, ***სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*** (შემდგომში - „შემსყიდველი"), ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიორგი ხორბალაძის სახით და მეორეს მხრივ, ***ფ/პ ალექსი გათიაშვილი*** (შემდგომში - „მიმწოდებელი"), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. 2016 წლის 18 ოქტომბერს სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და ფ/პ ალექსი გათიაშვილს შორის გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №170 ხელშეკრულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და ხელშეკრულების:

ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„2.1. შესყიდვის ობიექტია: ტვირთის გადაზიდვის მომსახურება (CPV: 63110000) /სატვირთო ავტომანქანით - სახელმწიფო ნომერი: VIN568/ - A4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის ჩამოტანა თბილისიდან, ეტაპობრივად (თითოეულ ეტაპზე მომსახურების ღირებულება შეადგენს 125 (ას ოცდახუთი) ლარს";

ბ) მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ეტაპობრივად, 2016 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად".

გ) მე-10 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით".

2. აღნიშნული შეთანხმება წამოადგენს 2016 წლის 18 ოქტომბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №170 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. შეთანხმება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

„შემსყიდველი"	*„მიმწოდებელი"*
სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	*ფ/პ ალექსი გათიაშვილი*
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	
გიორგი ხორბალაძე	*ალექსი გათიაშვილი*
---	---